საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო გვენეტაძეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი მიქაუტაძეს

ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ქალბატონო ნინო,

ბატონო გიორგი,

2016 წლის 25 ივლისს N9535/16 განცხადებით საქართველოს სახალხო დამცველს მომართა ანა არგანაშვილმა (შემდგომში განმცხადებელი). განმცხადებელი მიუთითებს, რომ სამუშაო ადგილზე ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროვებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლო არ აწარმოებს სტატისტიკას და გადაწყვეტილებებს გასცემს დაშტრიხული სახით იმგვარად, რომ შეუძლებელია საქმეში მონაწილე მხარეების, მოწმეების, ექსპერტების თუ მესამე პირების სქესის დადგენა.

I. ფაქტობრივი გარემოებები

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2016 წლის 30 ივნისს განმცხადებელმა თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა 9 კონკრეტული იდენტიფიცირებული საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებისა და სხვა პირების სქესის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულის საპასუხოდ, 2016 წლის 5 ივნისს განმცხადებელს ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მსგავსი სახის ინფორმაციის დამუშავება და სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა არ ხორციელდება.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრაქტიკა შედეგობრივად აუარესებს ქალების უფლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან ქალთა უფლებებზე მომუშავე მკვლევარებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, შეისწავლონ და დააკვირდნენ მართლმსაჯულების გენდერულად მგრძნობიარე საკითხებს.

ამასთან, 2016 წლის 9 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია 2014 წლის 7 მაისიდან 2016 წლის ივნისამდე პერიოდში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7[3] კარის ან/და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სასამართლოში შესული სარჩელების შესახებ. 2016 წლის 17 ივნისს სახალხო დამცველს თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოეგზავნა რამდენიმე სარჩელი და გადაწყვეტილება, ამასთან ეცნობა,რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელების სტატისტიკურ აღრიცხვას და დამუშავებას სასამართლო არ ახორციელებს.

II. სამართლებრივი შეფასება

თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების, ასევე უშუალოდ გენდერული საფუძვლით ჩადენილი დარღვევების შესახებ საქმეებზე სტატისტიკა არ იწარმოება.

- *სქესის ნიშნით შევიწროვებისა და სექსუალური შევიწროვების საქმეებთან დაკავშირებით*

შევიწროვება და სექსუალური შევიწროვება კომპლექსური პრობლემაა, რომლის სამართლებრივი რეგულირება გვხვდება, როგორც საერთაშორისო აქტებში, ასევე, გარკვეულწილად, საქართველოს კანონმდებლობაში.

საქართველოს „შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროვება. „გენდერული თანასწორობის შესახებ” საქართველოს კანონი მე-6 მუხლი კი კრძალავს შრომით ურთიერთობაში სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტი სექსუალურ შევიწროვებას მიიჩნევს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად[1] და აღნიშნავს, რომ თანასწორობას რეალური საფრთხე ექმნება, როდესაც ქალი ექვემდებარება გენდერული ნიშნით ძალადობის ისეთ ფორმას, როგორიც არის სექსუალური შევიწროვება.[2] ქალთა წინააღმდეგ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ

[1]UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12: Violence against women, 1989, §1, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12

[2]UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §17

კონვენციის („სტამბოლის კონვენცია“)[3] მე-40 მუხლიც სექსუალურ შევიწროვებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს. გენდერული თანასწორობის შესახებ ევროკავშირის განახლებული 2006/54/EC დირექტივის მე-6 პუნქტისა და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი შევიწროვება და სექსუალურ შევიწროვება სქესის ნიშნის დისკრიმინაციად არის მიჩნეული.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოში სექსუალური შევიწროვების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, პრაქტიკულად არ აღსრულდება და სახელმწიფოს მოუწოდა, რომ ებრძოლოს სექსუალურ შევიწროვებას და მოახდინოს მისი პრევენცია.[4]

შევიწროვების, როგორც ძალადობისა და დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის გამოვლინების შიში, ქალებისათვის პროფესიული განვითარების მუდმივი დამაბრკოლებელი ფაქტორია.[5] სექსუალური შევიწროვების გამოცდილება შეურაცხმყოფელია ქალის ღირსებისათვის და მომავალში მისი შესაძლებლობების გამოვლენაზე უარყოფითად აისახება. სექსუალური შევიწროვების ფაქტები ხელს უშლის ქალებს დაიკავონ მენეჯერული პოზიცია.[6] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, შრომით ურთიერთობებში სექსუალური შევიწროვება ძირს უთხრის სამუშაო ადგილზე თანასწორობას, ეჭვქვეშ აყენებს დასაქმებულთა ინდივიდუალურ ინტეგრაციასა და კეთილდღეობას და აქვეითებს მათ პროდუქტიულობას.[7]

შევიწროვების ფენომენის მასშტაბის განსაზღვრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოში შესული საჩივრების რაოდენობას.[8] იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში არ არსებობს სექსუალური შევიწროვების შესახებ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისადმი მიმართვიანობა, არ ნიშნავს, რომ სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ამ ფორმას არ აქვს ადგილი. ამის საპირისპიროდ, აღნიშნული მიუთითებს, რომ შესაძლოა არსებობდეს საკანონმდებლო ხარვეზი,

---

[3] ქალთა წინააღმდეგ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ კონვენცია, ევროპის საბჭო, მიღებულია: 11.05.2011, საქართველომ ხელი მოაწერა: 19.06.2014

[4]UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014, §§28-29, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en

[5]Beijing Declaration and Platform for Action, The Fourth World Conference on Women, 16th plenary meeting, 15/09/1995, §117, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20E.pdf

[6]Beijing Declaration and Platform for Action, The Fourth World Conference on Women, 16th plenary meeting, 15/09/1995, §161

[7]ILO Committee of Experts, Special Survey on the application of Convention No.111 on discrimination in Employment and Occupation, Geneva, 1996, §40, გვ.16, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661(1996-83-4B).pdf

[8]European Commission, Harassment related to Sex and Sexual Harassments Law in 33 European Countries, 2012, გვ.9, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:http://ec.europa.eu/justice/gender-equality/files/your_rights/final_harassement_en.pdf

ხელისუფლების წარმომადგენელთა არაინფორმირებულობა სექსუალური შევიწროვების შესახებ ან/და არ არსებობდეს გასაჩივრების სათანადო მექანიზმი.[9]

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები.

სტამბოლის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით სახელმწიფოებმა უნდა აღრიცხონ ცალკეული მონაცემები კონვენციით განსაზღვრული ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ, მათ შორის, სექსუალური შევიწროვების საქმეების სტატისტიკური მონაცემები.

გენდერის ნიშნით ცალკეული ჯეროვანი მონაცემებისა და სტატისტიკის არარსებობა აფერხებს სპეციფიური სტრატეგიების შემუშავებას ძალადობისა და შევიწროვების აღმოსაფხვრელად.[10] შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა დახვეწოს გენდერულად გამოცალკავებული სტატისტიკური მონაცემები, როგორც მსხვერპლის, ასევე შევიწროვების განმახორციელებლის შესახებ.[11]

როგორც სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშშია აღნიშნული, სექსუალური შევიწროვება ქალთა მიმართ უფლებადარღვევის ყველაზე გავრცელებულ და ამავდროულად დაფარულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც აკნინებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას.[12] სახალხო დამცველის განმარტებით, გენდერული ნიშნით შევიწროვების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწმეებისა და სხვა დაკავშირებული პირების სქესს. იმ პირობებში, რომ საქართველოში დღემდე არსებობს გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ქალებს დაკნინებულ მდგომარეობაში ამყოფებს, არსებობს რისკი, რომ მოხდეს მსხვერპლი ქალის დადანაშაულება და შემავიწროვებლის მიერ ქალის მარგინალიზებულ მდგომარეობაში ჩაყენება. შესაბამისად, ქალის მოწყვლადობის ხარისხი უფრო იმატებს და პრობლემა დაფარული რჩება, ვინაიდან შევიწროვების მსხვერპლს აქვს ვიქტიმიზაციის შიში. ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში სექსუალური შევიწროვების შემთხვევები ხშირია სამუშაო

[9]Giving Globalization a Human Face, General Survey on the fundamental Conventions concerning rights at work in light of the ILO Declaration on Social Justice for a Fair Globalization, Report III (Part 1B), ILC.101/III/1B, 2012, §790. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---relconf/documents/meetingdocument/wcms_174846.pdf

[10]Beijing Declaration and Platform for Action, The Fourth World Conference on Women, 16th plenary meeting, 15/09/1995, §120

[11]Beijing Declaration and Platform for Action, The Fourth World Conference on Women, 16th plenary meeting, 15/09/1995, §206(j)

[12]სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებებათა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ, გვ. 994

ადგილზე, მაგრამ მის შესახებ განცხადებების რიცხვი არის დაბალი, რაც ახდენს პრობლემის სტიგმატიზაციას.[13]

სექსუალური შევიწროვების ფაქტებზე მიმართვიანობის შესახებ სტატისტიკის წარმოებას და საჯაროობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ერთი მხრივ, ეს ხელს შეუწყობს, რომ მოხდეს პრობლემის მასშტაბის განსაზღვრა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არსებული პრობლემების გამოვლენა და ასევე, უბიძგებს სექსუალური შევიწროვების მსხვერპლებს, რომ არ შეეშინდეთ ვიქტიმიზაციის და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გზით დაიცვან საკუთარი უფლებები.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სქესით დივერსიფიცირებულ ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა განმცხადებელს უზღუდავს შესაძლებლობას, რომ შეისწავლოს სექსუალური შევიწროვების კუთხით სასამართლოში არსებული პრაქტიკა. დამოუკიდებელ მკვლევარებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს კი შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ამდენად, აუცილებელია, რომ ისინი ქვეყანაში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესწავლაზე უფლებამოსილი ორგანოებისგან ფლობდნენ რეალურ ინფორმაციას თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

- *დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები*

დისკრიმინაციასთან ბრძოლის სხვადასხვა გზები არსებობს. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის არსებობა, თავისთავად, არის ყველაზე ეფექტური გზა, რომ მოხდეს დისკრიმინაციის აღმოფხვრა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუმცა იმისათვის, რომ სახელმწიფომ შესძლოს ქვეყნის რეალობაზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება, აუცილებელია, რომ მოახდინოს დისკრიმინაციის მასშტაბის განსაზღვრა, ეს უკანასკნელი კი შეუძლებელი იქნება დისკრიმინაციის საქმეების შესწავლაზე უფლებამოსილ ორგანოებში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ სტატისტიკის არარსებობის შემთხვევაში.

გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, რომელიც საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოა, 26-ე მუხლის საფუძველზე კრძალავს დისკრიმინაციას. ქვეყანაში პაქტით განსაზღვრულ უფლებათა მდგომარეობის შეფასების მიზნით კი, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკმარისი

[13] ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, ადამიანის უფლებათა საბჭო, 32-ე სხდომა, A/HRC/32/42/Add.3, §18, გვ.8, 09/07/2016. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf.

ინფორმაცია და სტატისტიკა.[14] ამასთან, დურბანის დეკლარაციით გაერო სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ შეაგროვონ, დაამუშავონ, გააანალიზონ, გამოაქვეყნონ და გაავრცელონ ქვეყანაში რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის შესახებ სანდო სტატისტიკური ინფორმაცია.[15] აღნიშნულის მიზანს მარგინალიზებული ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა და დისკრიმინაციასა და შეუწყნარებლობასთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კანონმდებლობის და პოლიტიკის შემუშავება და დახვეწა წარმოადგენს.[16]

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ სტატისტიკა სხვადასხვა მიზნებით შეიძლება იყოს გამოყენებული, მათ შორის, ქვეყანაში თანასწორობის შესახებ ზოგადი მდგომარეობის მონიტორინგის, სამუშაო ადგილას დასაქმებულთა მიმართ არსებული პრაქტიკისა და ასევე, სხვადასხვა ინსტიტუციური პრაქტიკის გამოსავლენად. ამასთან, დისკრიმინაციის საქმეების შესახებ ჯეროვან სტატისტიკაზე ხელმისაწვდომობა აღნიშნულ სფეროში მომუშავე მკვლევარებს ეხმარება, რომ გაუმჯობესონ საზოგადოებაში დისკრიმინაციის ფენომენის აღქმა, რაც დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეფექტური პოლიტიკის შემუშავების წინაპირობაა.[17]

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) განმარტებით, დისკრიმინაციული ქმედების შესახებ სტატისტიკური მონაცემების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის ფორმულირებისათვის,[18] ასევე, პოზიტიური ღონისძიების დაგეგმვის საჭიროების აღიარებისთვის[19] და ქვეყანაში არსებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტურობის შეფასებისათვის.[20] სახელმწიფომ უნდა შეაგროვოს ინფორმაცია დისკრიმინაციის შესახებ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმების

---

[14]UN Human Rights Committee, 70th Session, Consolidated Guidelines for State reports under the International Covenant on Civil and Political Rights, U.N. Doc. CCPR/C/66/GUI/Rev.2, 2001, C6.

[15]World Conference against Racism, Racial Discrimination, Xenophobia and Related Intolerance, Durban Declaration, 2001, §92, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
http://www.un.org/WCAR/durban.pdf

[16]World Conference against Racism, Racial Discrimination, Xenophobia and Related Intolerance, Durban Declaration, 2001, §92b

[17]European Commission, Measuring Discrimination – Data Collection and EU Equality Law, 2006, გვ. 12.

[18]Council of Europe, European Commission against Racism and Intolerance (ECRI), General Policy Recommendation (GPR) No. 4 On the National Surveys on the Experience and Perception of Discrimination and Racism from the Point of View of Potential Victims, 06/03/1998, გვ.3

[19]European Commission, Measuring Discrimination – Data Collection and EU Equality Law, 2006, გვ. 5

[20]European Commission, Measuring Discrimination – Data Collection and EU Equality Law, 2006, გვ. 5

შესრულებასთან დაკავშირებით, მათ შორის საჩივრის/სარჩელის რაოდენობისა და შინაარსის, მიღებული გადაწყვეტილებისა და კომპენსაციის სახის შესახებ.[21]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საერთო სასამართლოები და საქართველოს სახალხო დამცველი განისაზღვრა დისკრიმინაციის საქმეების შესწავლაზე უფლებამოსილ ორგანოებად. ანტიდისკრიმინაციული კანონის ნოვაციურობიდან გამომდინარე, როგორც სასამართლოს, ასევე სახალხო დამცველს, კანონის ეფექტურად აღსრულებაზე განსაკუთრებული როლი ეკისრება. შესაბამისად, დისკრიმინაციის შესახებ განცხადებების/საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების დამუშავება და გაანალიზება აუცილებელია, რომ გამოიკვეთოს ის ხარვეზები, რამაც შესაძლოა ანტიდისკრიმინაციული კანონის პრაქტიკაში რეალიზება შეაფერხოს.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მართალია, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე ინფორმაციის შეგროვება და სტატისტიკის წარმოება მარგინალიზებული ინდივიდების იდენტიფიცირების რისკს მოიცავს, თუმცა, სასამართლოს შეუძლია სტატისტიკა აწარმოოს და საჯარო ინფორმაცია გასცეს იმგვარად, რომ არ გასაჯაროვდეს პერსონალური მონაცემები, თუმცა იდენტიფიცირებადი დარჩეს საქმეში მონაწილე ყველა სუბიექტის სქესის, რელიგიის, ეთნიკური თუ ეროვნული კუთვნილების და ყველა იმ მახასიათებლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა დისკრიმინაციული მოტივის დასადგენად.

III. სახალხო დამცველის კომპეტენციის შესახებ გამოსცეს ზოგადი წინადადება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გენდერულად მგრძნობიარე და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სტატისტიკის არარსებობამ შესაძლოა ხელი შეუწყოს როგორც სქესის ნიშნით, ასევე ზოგადად დისკრიმინაციული პრაქტიკის განვითარებას და ფარული გახადოს აღნიშნული ფენომენი. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება ზოგადი წინადადებით მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

---

[21]Stephanos Stavros, Executive Secretary to ECRI, Monitoring Racism and Racial Discrimination: European Standards Concerning Data Collection, გვ.1

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ზოგადი წინადადებით მიმართავს:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომ სქესის ნიშნით შევიწროვებასთან და სექსუალურ შევიწროვებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დაიწეროს ისეთი ფორმით, რომ დაშტრიხვის შემდეგ შესაძლებელი იყოს საქმის მხარეთა, მოწმეთა და მესამე პირთა სქესის იდენტიფიცირება და მოხდეს მსგავს საქმეთა რეესტრის წარმოება;

- თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დაიწეროს ისეთი ფორმით, რომ დაშტრიხვის შემდეგ შესაძლებელი იყოს მხარეთა, მოწმეთა და მესამე პირთა სქესის, რელიგიური კუთვნილების, რასის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის, ენის, ასაკისა და სხვა იმ პერსონალური მახასიათებლის იდენტიფიცირება, რომელიც მნიშვნელოვანია დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენისათვის;

- თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ ინფორმაცია დაამუშავოს დისკრიმინაციისაგან დაცული ნიშნისა და ასევე, საქმის განხილვის შედეგად დამდგარი შედეგის მითითებით;

- თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომ აღრიცხოს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელები და გადაწყვეტილებები;

- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ მოცემული ზოგადი წინადადებით დადგენილი სტანდარტი გაავრცელოს საქართველოს იურისდიქციაში არსებულ სამივე ინსტანციის სასამართლოებზე.

ამასთან, სახალხო დამცველი მზადყოფნას გამოთქვამს ზოგად წინადადებაში ასახული საკითხების შესახებ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,